

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი
თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანადართული რედაქციით

(ლარი)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდზე ბიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	33 480 307	32 065 219	31 189 060	31 189 060	0
გადასახადები	4 824 791	4 000 000	12 504 000	12 504 000	
გრანტები	26 155 292	25 338 263	16 236 800	16 236 800	
სხვა შემოსავლები	2 500 224	2 726 956	2 448 260	2 448 260	
ხარჯები	13 666 985	14 377 279	14 605 269	14 605 269	0
შრომის ანაზღაურება	6 318 819	7 242 093	7 917 480	7 917 480	-
საქონელი და მომსახურება	3 868 744	4 103 195	4 311 368	4 311 368	-
პროცენტი	314 458	306 381	328 696	328 696	-
სუბსიდიები	491 294	1 078 555	885 000	885 000	-
გრანტები	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	865 671	756 533	597 700	597 700	-
სხვა ხარჯები	1 807 999	890 522	565 025	565 025	-
საოპერაციო სალდო	19 813 322	17 687 940	16 583 791	16 583 791	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	20 263 154	17 063 116	15 120 775	15 120 775	0
ზრდა	20 289 406	17 254 751	15 120 775	15 120 775	-
კლება	26 252	191 635	-	-	-
მთლიანი სალდო	-449 832	624 824	1 463 016	1 463 016	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 496 251	-663 946	- 275 740	-275 740	0
ზრდა	52 100	44 200	44 200	44 200	-
ვალუტა, დეპოზიტები			-	-	-
აქციები და სხვა კაპიტალი	52 100	44 200	44 200	44 200	-
კლება	1 548 351	708 146	319 940	319 940	-
ვალუტა, დეპოზიტები	1 548 351	708 146	319 940	319 940	-
ვალდებულებების ცვლილება	-1 046 419	-1 288 770	-1 738 756	-1 738 756	0
ზრდა	-	-	-	-	-
კლება	1 046 419	1 288 770	1 738 756	1 738 756	-
ბალანსი	-	-	-	-	-

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	33 506 559	32 256 854	31 189 060	31 189 060	-
შემოსავლები	33 480 307	32 065 219	31 189 060	31 189 060	
არაფინანსური აქტივების კლება	26 252	191 635	-	-	
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	
გადასახდელები	35 054 910	32 965 000	31 509 000	31 509 000	-
ხარჯები	13 666 985	14 377 279	14 605 269	14 605 269	
არაფინანსური აქტივების ზრდა	20 289 406	17 254 751	15 120 775	15 120 775	
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	52 100	44 200	44 200	44 200	
ვალდებულებების კლება	1 046 419	1 288 770	1 738 756	1 738 756	
ნაშთის ცვლილება	- 1 548 351	- 708 146	- 319 940	- 319 940	-

თავი II

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 31 189 060 ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
შემოსავლები	33 480 307	32 065 219	31 189 060
გადასახადები	4 824 791	4 000 000	12 504 000
გრანტები	26 155 292	25 338 263	16 236 800
სხვა შემოსავლები	2 500 224	2 726 956	2 448 260

მუხლი 4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 12 504 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გადასახადები	4 824 791	4 000 000	12 504 000
საშემოსავლო გადასახადი	1 829 672	1 000 000	
დამატებითი ღირებულების გადასახადი			9 304 000
ქონების გადასახადი	2 995 119	3 000 000	3 200 000

მუხლი 5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 16 236 800 ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გრანტები	26 155 292	25 338 263	16 236 800
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	26 155 292	25 338 263	16 236 800
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	4 894 300	6 443 200	
სპეციალური ტრანსფერი	1 700 270	2 984 263	1 200 000
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი			
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	303 971	2 984 263	1 200 000
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1 396 299		
კაპიტალური ტრანსფერი	19 560 722	15 910 800	15 036 800
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	19 560 722	15 910 800	15 036 800

მუხლი 6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 448 260 ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 500 224	2 726 956	2 448 260
შემოსავლები საკუთრებიდან	459 143	546 380	444 940
პროცენტები	122 766	169 580	57 000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	122 766	169 580	57 000
რენტა	336 377	376 800	387 940
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	84 111	70 000	78 060
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	252 266	306 800	309 880
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	671 661	796 151	719 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	591 070	645 400	634 000
სანებართვო მოსაკრებელი	194 002	171 400	150 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	194 002	171 400	150 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	40		

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	129 072	184 000	184 000
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	267 956	290 000	300 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	80 591	150 751	85 000
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	80 591	150 751	85 000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1 086 028	1 192 100	1 100 000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	283 392	192 325	184 320

თავი III

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 14 605 269 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	13 666 985	14 377 279	14 605 269	14 605 269	-
შრომის ანაზღაურება	6 318 819	7 242 093	7 917 480	7 917 480	-
საქონელი და მომსახურება	3 868 744	4 103 195	4 311 368	4 311 368	-
პროცენტი	314 458	306 381	328 696	328 696	-
სუბსიდიები	491 294	1 078 555	885 000	885 000	-
სოციალური უზრუნველყოფა	865 671	756 533	597 700	597 700	-
სხვა ხარჯი	1 807 999	890 522	565 025	565 025	-

მუხლი 8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 15 120 775 ლარის ოდენობით მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15 120 775 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით;

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	
			სულ	მათ შორის

				საკუთარი შემოსავლე ბი	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	324 979	1 276 141	11 800	11 800	-
მუნიციპალიტეტის საკრებულო	-	1200	4500	4500	-
მუნიციპალიტეტის მერია	7 209	3 861	7 300	7 300	-
მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	317 770	1 271 080	-	-	-
ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი ნაგებობის რეაბილიტაცია-ქობულეთის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობის დასაფარი თანხა	317 770	1 271 080	-	-	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	17 768 228	14 226 622	15 089 575	15 089 575	-
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	8 317 720	7 283 357	7 954 811	7 954 811	-
ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა	7 861 256	6 487 711	7 388 347	7 388 347	-
ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა	2 238	630 000	450 000	450 000	-
ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელეების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელეების მოწყობა	454 226	165 646	-	-	-
გარე განათების ღონისძიებები	-	-	116 464	116 464	-
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	8 241 086	4 569 205	1 131 362	1 131 362	-
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები	120 000	230 106	-	-	-
გარე განათების ღონისძიებები	73 400	-	-	-	-
მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები	998 472	289 846	-	-	-
გამწვანების ღონისძიებები	8 555	13 975	16 700	16 700	-
წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	4 785 802	3 672 915	514 662	514 662	-
სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2 254 857	362 363	-	-	-
სპეც. ტექნიკის (1 ერთეული არხმწმენდი და 1 ერთეული ნაგავმზიდი) შეძენა	-	-	600 000	600 000	-
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები	949 140	2 374 060	6 003 402	6 003 402	-
სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები	573 176	397 274	5 316 616	5 316 616	-
მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი	133 672	619 178	536 786	536 786	-

სამუშაოები					
დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩა N9-32-34-36-38-25-45-62-64 ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები პკ.0+00-პკ.4+90	-	1 253 683	-	-	-
ქ. ქობულეთში თავისუფლების ქუჩაზე ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა	37 012	-	-	-	-
სოფელ ხუცუბანში, შემფუთვი ქარხნისა და ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოების კეთილმოწყობა	99 170	-	-	-	-
საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	106 110	103 925	150 000	150 000	-
ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	260 282	-	-	-	-
განათლება	1 638 370	1 290 826	13 300	13 300	-
ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	14 280	6 720	10 000	10 000	-
საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	1 624 090	1 284 106	3 300	3 300	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	552 492	458 132	6 100	6 100	-
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	550 992	458 132	-	-	-
ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	-	1 000	-	-	-
სპორტული მოედნების მოწყობა	549 855	457 132	-	-	-
ა(ა)იპ " ფრენბურთის, ხელბურთის, კალაძურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი"	1 137	-	-	-	-
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1 500	-	6 100	6 100	-
ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	1 500	-	2 700	2 700	-
ა(ა)იპ ქობულეთის პარკი	-	-	3 400	3 400	-
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5 337	3 030	-	-	-
ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები	1 137	730	-	-	-
ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	1 137	730	-	-	-
სოციალური დაცვის ღონისძიებები	4 200	2 300	-	-	-
სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა	4 200	2 300	-	-	-
ჯამი	20 289 406	17 254 751	15 120 775	15 120 775	-

ბ) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით,;

დასახელება	2017 წლის	2018 წლის	2019 წლის გეგმა
------------	-----------	-----------	-----------------

	ფაქტი	გეგმა	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	26 252	191 635	-	-	-
ძირითადი აქტივები					
არაწარმოებული აქტივები	26 252	191 635	-	-	-
მიწა	26 252	191 635			

მუხლი 9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 29 726 044 ფუნქციონალურ კრილში, თანადართული რედაქციით.

(ლარი)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 649 138	4 366 993	3 179 629
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 015 290	2 788 038	2 849 933
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 886 843	2 664 260	2 744 933
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	128 447	123 778	105 000
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	632 228	1 578 955	329 696
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1 620	-	-
702	თავდაცვა	107 631	121 046	115 900
7021	შეიარაღებული ძალები	107 631	121 046	115 900
704	ეკონომიკური საქმიანობა	9 238 297	8 069 193	8 413 872
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1 669	-	-
70421	სოფლის მეურნეობა	1 669	-	-
7045	ტრანსპორტი	9 035 400	8 069 193	8 413 872
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	9 035 400	8 069 193	8 413 872
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	201 228	-	-
705	გარემოს დაცვა	5 127 454	2 620 954	2 070 955
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2 832 597	2 258 591	2 070 955
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2 254 857	362 363	-
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	40 000	-	-
706	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	9 048 858	8 689 228	9 484 728
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 964 497	2 511 941	6 462 402
7063	წყალმომარაგება	5 527 484	5 026 512	1 651 362

7064	გარე განათება	765 366	731 000	896 464
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	791 511	419 775	474 500
707	ჯანმრთელობის დაცვა	444 173	545 397	502 900
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	444 173	545 397	502 900
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 797 281	1 693 578	1 399 660
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	923 582	842 003	410 000
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	751 878	851 575	989 660
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	121 821	-	-
709	განათლება	4 753 273	5 043 152	4 141 600
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 407 032	3 061 316	3 462 800
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	2 346 241	1 981 836	678 800
710	სოციალური დაცვა	790 286	482 489	416 800
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	156 848	208 629	190 000
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	633 438	273 860	226 800
	მთლიანი ხარჯები	33 956 391	31 632 030	29 726 044

თავი IV

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილება

მუხლი 10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	19 813 322	17 687 940	16 583 791
მთლიანი სალდო	-449 832	624 824	1 463 016

მუხლი 11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

- განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (- 275 740) ლარის ოდენობით:
- განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების ზრდა 44 200 ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
------------	-----------------	-----------------	-------------------

ფინანსური აქტივების ზრდა	52 100	44 200	44 200
აქციები და სხვა კაპიტალი	52 100	44 200	44 200

3) განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების კლება 319 940 ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების კლება	1 548 351	708 146	319 940
ვალუტა და დეპოზიტები	1 548 351	708 146	319 940

მუხლი N12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1) განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 1738756 ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	1 046 419	1 288 770	1 738 756
ზრდა			
საშინაო			
კლება	1 046 419	1 288 770	1 738 756
საშინაო	1 046 419	1 288 770	1 738 756

მუხლი 13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 100 000 ლარის ოდენობით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ ქვეპროგრამები

მუხლი 14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

- ❖ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- ❖ განათლების ხელშეწყობა;
- ❖ კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროს ხელშეწყობა;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

1	<p style="text-align: center;">წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)</p> <p>პროგრამის მიზანი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა.</p> <p>პროგრამის აღწერა: აღნიშნული ხარჯები ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ მუშაობას, როგორცაა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯები. ასევე, მოიცავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურების დაფარვის ხარჯებს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯებს, დამოუკიდებელი აუდიტორიული დასკვნებისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯებს.</p>
1.1	<p style="text-align: center;">სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03)</p> <p>პროგრამის მიზანი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსება.</p> <p>პროგრამის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში გაუთვალისწინებული (სტიქიური მოვლენებისა და ფორსმაჟორული სიტუაციების), გადაუდებელი გადასახდელების ეფექტური და შეუფერხებლად დაფინანსება.</p>
1.2	<p style="text-align: center;">მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 04)</p> <p>პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესხო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.</p> <p>პროგრამის აღწერა: მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა წლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მიღებულ სესხებზე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.</p>
1.3	<p style="text-align: center;">დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი (პროგრამული კოდი 01 05)</p> <p>პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საბალანსო ღირებულების განსაზღვრა</p> <p>პროგრამის აღწერა: მუნიციპალური ქონების ეფექტური მართვა და განკარგვა</p>

2	<p style="text-align: center;">თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)</p> <p>პროგრამის მიზანი: სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის პროცესის შეუფერხებლად წარმართვა</p> <p>პროგრამის აღწერა: სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის მიზნით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება (ქ. თბილისში)</p>
3	<p style="text-align: center;">პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)</p> <p>მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, განხორციელებს ქალაქის, დაბებისა და სოფლების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაცია, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.</p>
3.1	<p style="text-align: center;">საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)</p> <p>პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, სამგზაო დროის შემცირება.</p> <p>პროგრამის აღწერა: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <p>3.1.1 ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა; ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა; მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, სამირკველების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნება,); ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურება; გარე განათების ღონისძიებები; ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები.</p>
3.1.1	<p style="text-align: center;">ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, სამგზაო დროის შემცირება.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p>

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩების, გადასასვლელებისა და ტროტუარების მოწყობას. კერძოდ: შიდა ქუჩების ტროტუარების, ველობილიკების, ავტობუსების გაჩერებების შეჭრების მოწყობას. სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებსა და ქუჩების მოასფალტების სამუშაოების განხორციელებას; დეკორატიული ფილებით მოპირკეთებას, ასევე შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

დაბა ჩაქვში «ოაზისის» მიმდებარედ გზაგამტარის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ქალაქ ქობულეთში „მტს« უბნის კეთილმოწყობა (მესხიდის ქუჩის შესახვევები; ჩხეიდის ქუჩა; ხაბაზის ქუჩა; ჭონქაძის ქუჩა);

ქალაქ ქობულეთში, თბილისის, მეგობრობის და კოსტავას ქუჩების რეაბილიტაცია;

ქალაქ ქობულეთში, გელაურის უბნის კეთილმოწყობა: აბაშიძის ქუჩა; ბარათაშვილის ქუჩა; კინტრიშის მე-2 შესახვევი;

ქალაქ ქობულეთში კარიერის უბნის კეთილმოწყობა (I – II უბანი);

ქალაქ ქობულეთში თავისუფლების ქუჩაზე (ბაზრის მიმდებარედ) შესასვლელის მოწყობა;

სოფელ ხუცუბნის ცენტრის კეთილმოწყობა;
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოკამერების შექმნა/მონტაჟი;

ვიდეოკამერების ექსპლუატაცია;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა;

ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

3.1.2 ქვეპროგრამის მიზანი:
ქობულეთის სანაპიროს დაცვა ეროზიისაგან

ქვეპროგრამის აღწერა:
ამორტიზირებული ჯებირის რეკონსტრუქცია, სავალი ნაწილის რეაბილიტაცია.
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:
ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში არსებული ნაპირდამცავი საფეხურებიანი კედლის რეაბილიტაცია (I ეტაპი).

მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორხაზოვნება,) (პროგრამული კოდი 03 01 04)

3.1.3 ქვეპროგრამის მიზანი:
მდინარეების შესართავებთან ტერიტორიის მოწესრიგება.

ქვეპროგრამის აღწერა:
ზამთარში ძლიერი შტორმის შედეგად მდინარეებმა კალაპოტი შეიცვალა და სანაპიროს ტერიტორია დააზიანა. მდინარე კინტრიშის და მდინარე დეხვას შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები გატარდება.

<p>3.1.4</p>	<p style="text-align: center;">ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა (პროგრამული კოდი 03 01 05)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალური საატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: შპს " ქობულეთის ტრანსრეგულირება" მიმდინარე ეტაპზე მიმდინარე ეტაპზე უზრუნველყოფს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას რაიონის სხვადასხვა მიმართულებით და ქალაქ ბათუმში. თვის განმავლობაში კომპანიის მიერ მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურეობა შეადგენს საშუალოდ 21000 მგზავრთა ბრუნვას, ჩვენ ვემსახურებით 7 სამარშუტო ხაზს. ესენია: ჯიხანჯური-ბათუმი, აჭყვისთავი-ბათუმი, ჩოლოქის მეურნეობა-ბათუმი, დაგვა-ქობულეთი, ზედა ხუცუბანი-ქობულეთი, რკინიგზის სადგური- აღმაშენებლის ქუჩა და რკინიგზის სადგური -რუსთაველის ქუჩა (ორი ავტობუსი) ყოველდღიურად საშუალოდ 720-730 მგზავრს ვემსახურებით და შემოსავალი შეადგენს 425 ლარს, ხოლო ხარჯი 1238 ლარს .აქედან გამომდინარე ყოველდღიური ზარალი შეადგენს 813 ლარს. ამიტომ მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას შეინარჩუნოს მგზავრობის ფიქსირებული მინიმალური საფასური. არსებული ფინანსური გაანგარიშებით საწარმოს შემოსავლები არ არის საკმარისი შეუფერხებელი მუშაობისათვის. საწვავისა და სათა-დარიგო ნაწილების ფასის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე საწარმოს შემოსავლები ხარჯებთან მიმარ-თებაში უარყოფითია. ქვეპროგრამა ითვალისწინებს წლის განმავლობაში ცალკეული თვეების მიხედვით საატრანსპორტო კომპანიის მიერ წარმოქმნილი საოპერაციო დეფიციტის დაფარვას.</p>
<p>3.1.5</p>	<p style="text-align: center;">გარე განათების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01 06)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლუატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა.</p> <p style="text-align: center;">პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <p>გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;</p> <p>ქალაქ ქობულეთში (მესხიძის, კაიკაციშვილის, თავისუფლების ქუჩებზე) გარე განათების არსებული წერტილების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობის სამუშაოები.</p>
<p>3.1.6</p>	<p style="text-align: center;">ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 01 09)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების - სამუშაოები</p>

3.2	<p align="center">კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)</p> <p>პროგრამის მიზანი: ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები; გამწვანების ღონისძიებები; წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია; უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი; საცხოვრებელი ბინების სადეზინფექციო ღონისძიებები; სპეც. ტექნიკის (1 ერთეული არხმწმენდი და 1 ერთეული ნაგავმზიდი) შეძენა.</p>
3.2.1	<p align="center">მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: დასუფთავების ღონისძიებები; ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება.</p>
3.2.2	<p align="center">გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება და გამწვანებულ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქობულეთი, დაბა ჩაქვი), ტროტუარების, სკვერებად და პარკებად დარეგისტრირებული ნაკვეთების მოვლა-პატრონობა, გაცელვითი და დაწამლვითი სამუშაოები. მარად მწვანე ხე მცენარეების, კონკრეტულად: გასხვლა, შეღებვა და დაზიანებული ხეების მოჭრითი სამუშაოები. ყვავილებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ სკვერების განაშენიანება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა: ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება</p>
3.2.3	<p align="center">წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p>

	<p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წლით უზრუნველყოფა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: პროგრამით მოხდება ყველა იმ აუცილებელი ხარჯის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მიწოდების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან. განხორციელდება მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დაფარვის მიზნით შპს "ქობულეთის წყალის" სუბსიდირება, პროგრამა დააფინანსებს სს " აჭარის წყლის ალიანსის " საწესდებო კაპიტალის შენატანს .</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <p>სოფელ ქაქუთში, სოფელ შუაღელეში, სოფელ ქვედა აჭყვასა და სოფელ ზედა აჭყვასში წყალსადენის სისტემების საფილტრი ნაგებობების მოწყობისა და სოფელ ხუცუბანში წყალსადენის სისტემის რეზერვუარის რეაბილიტაცია;</p> <p>შპს "ქობულეთის წყალი";</p> <p>ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი ";</p> <p>სს " აჭარის წყლის ალიანსის " საწესდებო კაპიტალის შენატანი.</p> <p>ზედა ლელვას წყალსადენისათვის წყალსაქაჩი ტუმბოს შეძენა.</p>
<p>3.2.4</p>	<p style="text-align: center;">უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 02 07)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გაწმენდა უნებართვო, უსახური, ამორტიზირებული შენობა ნაგებობებისაგან.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უნებართვო, უსახური და ამორტიზირებული შენობა - ნაგებობების (მიშენებების) სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებას.</p>
<p>3.2.5</p>	<p style="text-align: center;">საცხოვრებელი ბინების სადეზინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადამდები დაავადებების პრევენცია.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: პროფილაქტიკური სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება დაკვირვებულია მავნე მწერებისა და მღრნელების მაქსიმალურ შემცირებასთან მოსახლეობის ეპიდემოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სამუშაოები ჩატარდება შემდეგი მიმართულებით: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებისა და სარდაფების დეზინფექცია და ქალაქის ტერიტორიების დეზინფექცია.</p>
<p>3.3</p>	<p style="text-align: center;">მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)</p> <p>პროგრამის მიზანი: ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება.</p> <p>პროგრამის აღწერა:</p>

	<p>პროგრამა მოიცავს სარეკრეაციო და გამწვანებულ ტერიტორიების გაფართოებას, შენობა ნაგებობების მშენებლობას, რომლის ფარგლებში მოეწყობა სოფლებში ადმინისტრაციულ შენობები, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <p>სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები;</p> <p>მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები;</p> <p>საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა;</p> <p>აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი.</p>
<p>3.3.1</p>	<p style="text-align: center;">სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>პარკებისა და სკვერების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა</p> <p>განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <p>დაბა ჩაქვში, აღმაშენებლის ქუჩა N 9-32-34-36-38-25-45-62-64 ეზოს ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები პკ. 4+90-პკ 10+63;</p> <p>ქალაქ ქობულეთში, მუზეუმის მოპირდაპირედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია;</p> <p>ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის N610-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობის სამუშაოები;</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობა (რუსთაველის II შესახვევი N17;);</p> <p>ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლში ზღვისპირა პარკის მოწყობა (I ეტაპი);</p>
<p>3.3.2</p>	<p style="text-align: center;">მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული შენობების მდგრადობა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს შენობა- ნაგებობების მშენებლობას, რომლის ფარგლებში მოეწყობა სოფლებში შენობები. კერძოდ:</p> <p>ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეებში ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები;</p> <p>სოფელ ზენითის ადმინისტრაციული შენობის მოწყობა ;</p> <p>დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული შენობის მოწყობა;</p>
<p>3.3.3</p>	<p>საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა (პროგრამული კოდი 03 03 06)</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p>

	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სამომავლოდ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება</p>
<p>3.3.4</p>	<p align="center">აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 07)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტური მართვა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.</p>
<p>4</p>	<p align="center">პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)</p> <p>მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება, ასევე სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებებია და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, სასწავლო პროცესის ხელშეწყობა.</p>
<p>4.1</p>	<p align="center">სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)</p> <p>პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა.</p> <p>პროგრამის აღწერა: სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვებში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოთ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საამდროდელი პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულად პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქობულეთის მოსახლეობისთვის.</p>

	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა: ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება</p>
<p>4.1.1</p>	<p style="text-align: center;">ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებებში განათლების სრულფასოვანი, გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, საამღზრდლო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას შესაბამის სტანდარტებთან; მეთოდური მიმართულებების გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღის აღსაზრდელისთვის სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურისა და სათამაშოების შესყიდვას; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განათლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს.</p>
<p>4.1.2</p>	<p style="text-align: center;">საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: საბავშვო ბაღის გაზიფიცირება.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა: პროექტის ფარგლებში მოხდება ჩაისუბნის საბავშვო ბაღის გაზიფიცირება.</p>
<p>5</p>	<p style="text-align: center;">პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)</p> <p>სპორტის, ახალგაზრობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.</p>
<p>5.1</p>	<p style="text-align: center;">სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)</p> <p>პროგრამის მიზანი:</p>

	<p>ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია</p> <p>პროგრამის აღწერა:</p> <p>ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტული სპორტსმენების მზადების წლიური საწვთნელი პროცესის ორგანიზება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:</p> <p>ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა;</p> <p>სპორტული ღონისძიებების დაფინანსება;</p> <p>სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა;</p> <p>ა(ა)იპ " ფრენბურთის, ხელბურთის, კალაბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი".</p>
<p>5.1.1</p>	<p>ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სკოლაში არსებული სპორტის სახეობაში მომეცადინე სპორტსმენთაგან ეროვნული ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადება, სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტული სპორტსმენების მზადების წლიური საწვთნელი პროცესის ორგანიზება.</p>
<p>5.1.2</p>	<p>სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა; საზოგადოების აქტიური ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზება</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: 1) მხიარული თამაშები-ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა. 2) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. 3) ქობულეთის მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში უზნებს შორის. 4) "ევროპის სპორტის კვირეული"-ს ფარგლებში სხვადასხვა სპორტული აქტივობების ორგანიზება. 5) მერიაში წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ხელშეწყობა. პერსპექტიული სპორტსმენების მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერა. გამარჯვებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისება ფინანსური ჯილდოთი.</p>
<p>5.1.3</p>	<p>სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)</p>

	<p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>სპორტულ-გამაჯანსაღებელ, პროფესიულ სასპორტო და სპორტულ მეთოდური საქმიანობა.</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>რაგბის პოპულარიზაცია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდ ახალგაზრდებში. რაგბის ფედერაციის ეგიდით ორგანიზებული საერთაშორისო თუ რეგიონალურ ტურნირებში მონაწილეობა პროფესიონალი მორაგბეების გაწვრთნა და მათი დახელოვნება</p>
<p>5.1.4</p>	<p>ა(ა)იპ " ფრენბურთის, ხელბურთის, კალაბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი" (პროგრამული კოდი 05 01 06)</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი:</p> <p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა</p> <p>ქვეპროგრამის აღწერა:</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1.მაღალი მიღწევების სპორტის ხელშეწყობა- დაგეგმილია კლუბის წევრების შრომის ანაზღაურება: სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა: მწვრთნელთა გადამზადება, სპორტულ ტურნირებში მონაწილეობის მიღება ქვეყნის შიგნით, ადგილზე სპორტული ტურნირებისა და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება 2.ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა- ღონისძიება მიზნად ისახავს ბავშვთა და მოზარდთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდას სპორტის ისეთ სახეობებში, როგორცაა ფრენბურთი, ხელბურთი, კალათბურთი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მომავალში ადგილობრივი პროფესიული სპორტული კლუბების განვითარებას</p>
<p>5.2</p>	<p>კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)</p> <p>პროგრამის მიზანი:</p> <p>ჩვენი ქვეყნის ტრადიციული დღესასწაულის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზება, საახალწლო განწყობის შექმნა ქალაქში. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების პოპულარიზაცია და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა პატივის მიცემა. საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება და მათი აკადემიური მოსწრების ზრდა, ასევე შემოქმედებითი უნარების აღმოჩენა და წახალისება. წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება. ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნების გამოვლენა, კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება გენდერული თანასწორობის საკითხებში, შშმ პირების ინტეგრირება საზოგადოებასთან. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლე-ახალგაზრდების მუსიკალურ-ვოკალურ-ქორეოგრაფიული განათლებას, როგორც ფოლკლორის, ასევე კლასიკური და თანამედროვე მიმართულებით.</p> <p>პროგრამის აღწერა:</p>

